განმარტებითი ბარათი

„საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტი)“ თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ (შემდგომში „თბილისის მუნიციპალიტეტი“) მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ქალაქ თბილისში მყარი ნარჩენების სეპარირება - რეციკლირებასთან დაკავშირებით სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით დაფინანსების მოზიდვის თხოვნით.

თბილისის მუნიციპალიტეტის ინფორმაციით ICP-ENVIROPLAN კონსორციუმმა, თბილისის მერიის დაკვეთით, მოამზადა მყარი ნარჩენების სეპარირებისა და რეციკლირების გრძელვადიანი სტრატეგია. შემუშავებული სტრატეგიის მიხედვით აუცილებელია ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სქემებთან ერთად, ნარჩენების დამუშავების სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელიც მოიცავს დახარისხების ობიექტის და მასალების აღმდგენი ობიექტის (MRF) მშენებლობას, რაც დადებით გავლენას მოახდენს რეციკლირებასა და ნარჩენების შემცირებაზე.

აღნიშნულის დასაფინანსებლად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) გამოყოფს სესხს 22 მლნ ევროს ოდენობით, შემდეგი ფინანსური პირობებით:

- სესხის ხანგრძლივობა: 15 წელი (მათ შორის, შეღავათიანი პერიოდი 3 წელი);
- საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ცვლადი, Euribor+1% (16.02.2024-ის მდგომარეობით EURIBOR შეადგენს 3,895);
- ვალდებულების საკომისიო (Commitment fee): 0.5% (აღნიშნულის დარიცხვა ხდება სესხის აუთვისებელ ნაწილზე.);
- ადმინისტრირების გადასახდელი: სესხის თანხის 1% (ერთჯერადი გადასახდელი, მისი დაფარვა განხორციელდება სესხის თანხიდან).

გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში მწვანე კლიმატის ფონდისგან (GCF) გამოიყოფა 4 მლნ ევროს ოდენობით სასესხო რესურსი შემდეგი ფინანსური პირობებით:

- GCF-ის მიერ გამოყოფილი სესხის ოდენობა: 4 მლნ ევრო (uncommitted);
- სესხის ხანგრძლივობა: 15 წელი (მათ შორის შეღავათიანი პერიოდი 3 წელი);
- საპროცენტო განაკვეთი: 0.25%;
- ვალდებულების საკომისიო (Commitment fee): 0.15%

პროექტს განახორციელებს თბილისის მუნიციპალიტეტი შპს “თბილსერვის ჯგუფის” მეშვეობით.

პროექტის დასრულების სავარაუდო თარიღია 2028 წლის 1 იანვარი.

აღნიშნულ სასესხო შეთანხმებას ხელი მოეწერა 2024 წლის 20 თებერვალს, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 თებერვლის N187 განკარგულებისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის N86 ბრძანების საფუძველზე.